

თიბისი გთავაზობთ საერთაშორისო საბანკო გადარიცხვებისა და ჩარიცხვების (SWIFT) მოქნილ და ეფექტურ სისტემას სხვადასხვა ვალუტაში.

გადარიცხვის/ჩარიცხვის განხორციელება შეგიძლიათ როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ, თიბისის ნებისმიერი სერვისცენტრიდან და მობილური აპლიკაციიდან, დაბალი საკომისიო ტარიფებით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ: ამჟამად მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები რუსეთსა და ბელარუსში საერთაშორისო გადარიცხვის/ჩარიცხვების განხორციელებაზე.

თიბისიში SWIFT გადარიცხვის/ჩარიცხვის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მიჰყევით ქვემოთ მოცემულ ბმულებს:

რეკომენდაცია: რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეებისთვისა და რეზიდენტებისთვის მოქმედი საერთაშორისო საბანკო შეზღუდვების გამო, SWIFT გადარიცხვების ან ჩარიცხვების განხორციელებისას რეკომენდებულია ქვემოთ მითითებული კორესპონდენტი (შუამავალი) ბანკების გამოყენება. ეს ხელს შეუწყობს გადარიცხვის შეუფერხებლად დამუშავებას და შეამცირებს თანხის უკან დაბრუნების ან ტრანზაქციის შეფერხების რისკს.

წესები და პირობები

SWIFT-ჩარიცხვის მისაღებად თიბისის მომხმარებელმა შესაძლოა წარმოადგინოს შემდეგი:

1. მომხმარებლის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
2. მომხმარებლის ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
3. ჩასარიცხი თანხის წარმოშობის წყარო:

თანხის წარმოშობის წყაროს დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესაბამისი შემთხვევის მიხედვით შესაძლოა იყოს:

- უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი – მოქმედი ნასყიდობის ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ამონაწერები ქონების გაყიდვამდე და გაყიდვის შემდეგ.
- მოძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი – მოქმედი ნასყიდობის ხელშეკრულება.
- კომპანიის წილების გაყიდვა – მოქმედი ნასყიდობის ხელშეკრულება და რეესტრის ამონაწერები წილების გასხვისებამდე და გასხვისების შემდეგ.
- კომპანიიდან ხელფასის ან მომსახურების ანაზღაურების მიღება – მოქმედი ხელშეკრულება და ინვოისი.
- დივიდენდის მიღება – კომპანიის უახლესი ამონაწერი რეესტრიდან და დივიდენდის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება/ბრძანება.

- **საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი** – ბირჟაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, საბროკერო ანგარიშის ამონაწერი და იმ საბანკო ანგარიშის ამონაწერი, სადაც აისახება საბროკერო ანგარიშიდან ჩარიცხული ან გადმორიცხული თანხა.
 - **თუ თანხას რიცხავს ოჯახის წევრი (მეუღლე, მამა ან დედა)** – თანხის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად უნდა წარმოდგეს ქორწინების ან დაბადების მოწმობა, ან სხვა დოკუმენტი, რომელიც გამოდგება გადმომრიცხავთან კავშირის დამადასტურებლად;
 - **საქონლის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი** – შესაბამისი ხელშეკრულება და ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტები.
 - საჭიროების შემთხვევაში, თანხის წარმოშობის შესახებ დამატებითი დოკუმენტაცია ბანკის მოთხოვნის შესაბამისად.
4. საქართველოში თანხის გადმორიცხვის მიზანი.
 5. საბანკო ამონაწერები, რომლებშიც ჩანს გამომგზავნის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის ისტორია და დეტალები - ვინ ჩარიცხა თანხა, ტრანზაქციის კონტრაგენტები, ქვეყნები და ტრანზაქციის დანიშნულება).

დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოდგენის ვადა არის **არაუმეტეს 10 სამუშაო დღე**.

თუ აღნიშნული ან ბანკის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადა დაირღვევა, თანხა უკან დაუბრუნდება გამომგზავნს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი ინფორმაცია:

- ბანკის მომსახურების საკომისიოს გადახდა დამოკიდებულია გადარიცხვა/ჩარიცხვის ტიპზე, რის მიხედვითაც გადარიცხული/ჩარიცხული თანხა სრულად ან ნაწილობრივ აისახება მიმღების ანგარიშზე, საკომისიოს დაკავებით ან მის გარეშე.
- თუ საერთაშორისო გადმორიცხვისას არ არის მითითებული თიბისის შუამავალი ბანკი, თანხა შესაძლოა არ ჩაირიცხოს ბანკის კორესპონდენტ ანგარიშზე და უკან დაუბრუნდეს გამომგზავნს.

თუ, საზღვარგარეთიდან თანხა გადმორიცხება არასრული საბანკო რეკვიზიტებით და არ იქნება მითითებული თიბისის შუამავალი ბანკი, არსებობს რისკი, რომ ჩარიცხვა მიმდებამდე ვერ მოვიდეს. ასეთი გადმორიცხვის სტატუსის გადამოწმება შეუძლია მხოლოდ გადმომრიცხავს და მის მომსახურე ბანკს.

იმისათვის რომ შეუფერხებლად მიიღოთ თანხა, აუცილებელია სრულყოფილად იყოს მითითებული გადამდხელი (გადმომრიცხავის) პირის რეკვიზიტები (ანგარიში, დასახელება, მისამართი სრულად: ქვეყანა, ქალაქი, ქუჩა) , ასევე მიმღების რეკვიზიტები (IBAN ანგარიშის ნომერი და დასახელება);